ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 19

2018 წ. „17“ 05

ქ. თბილისი

„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ (ს/კ200273088) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მემინანქრე	მესამე	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080355	60	ქართული	20	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
2	თექის ხელოსანი	მესამე	თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080364	60	ქართული	25	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
3	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	მესამე	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080367	30	ქართული	25	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
4	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	30	ქართული	30	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 17 მაისის № 6 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე

მდივანი